

1945

№ 1-2, 1945 წ.
განმარტების წელი XXII.
შპნი 2 მ.ბ.

რეპრეზენტი

თბილისი.
განმარტების
კომპლექსი
საქართველოს
საბჭოთავო
ბიუროთი



ნახ. გ. ლომიძისა

ბუნაგში უხარო ბასრი მახვილით
მას ათას ცხრაას ორმოცდასუთმა,
რომ ჩვენი რისხვით შური მთავს
ყოველმა წამმა, ყოველმა წუთმა!



ჩვენში და...

საახალწლო მიძღვნა ქართვალ მებრძოლებს

გამარჯვება საქართველოს რაინდნო, მტრის რიგებს რომ მიარბევთ და მიღეწავთ, განთიადი ცეცხლისფერად დაინთო, ახალი წლის მობრძანებას გილოცავთ! თრთოლავს ზეცა მოლივლივე ზღვასავით, ვარსკვლავების ლურჯი საყვავილო ცა, თენდება და ჰქრება ცისკრის ვარსკვლავი, ახალი წლის გათენებას გილოცავთ! ჰეი, ძმანო, შორს წასულნო ჩვენგანა, დაულოღონო სამამულო ომითა, მტრებისაგან რომ გასწმინდეთ ქვეყანა, ვაჟკაცობით, მარჯვე გამობნობითა. საქართველოს მთავორებსაც უსმენდეთ, რას მოელვარებს ან მტკვარი, ან რიონი, რა სიმღერას გუგუნებენ უწმინდესს ცადაწვდილნი მთანი კავკასიონის. იდიდეთ და იღვგრძელეთ მარადის, მახვილი რომ მტრების სისხლში გიღვსავთ, ახლო არის გამარჯვება ნანატრი, ახალი წლის დღესასწაულს გილოცავთ! ჰკვეთეთ, კაფეთ შურისგების სახელით, კარბატებშიც კავკასიონს ვიცავდეთ, თქვენი ხმა და რაინდული ძახილი, მოდიოდეს ჩვენს მშობლიურ მიწამდე! ახლო არის გამარჯვება ნანატრი, გამარჯვების ბრწყინვალე დღეს გილოცავთ, ჩვენი ხმლების მტრული შუქი დაძნათის მტერს საზიზღარს, ბილწს და სასიკვდილოსა! იღვგრძელეთ საქართველოს რაინდნო, მტრის რიგებს რომ მიარბევთ და მიღეწავთ, განთიადი ცეცხლისფერად დაინთო, ახალი წლის გათენებას გილოცავთ!

ალგკო შენგელია

პატარა მოთხრობები

სწორი პასუხი

ერთი გერმანელი ჯარისკაცი ოფიცერს აუხირდა:
— სამი წელიწადია ჯარში ვარ. მიბრძოლია, ორჯერ დავიჭერი კიდევ და ამდენი გამოცდილებების შემდეგ, კვლავ თოფის სროლაში ვარჯიში. ყოველდღე თოფის ჩხაკუნს ვის რაში სჭირდება ეს ყველაფერი?
ოფიცერმა მტკიცედ უპასუხა:
— ვისა? არ იცი, ჩერჩეტო? ვის ესა-კიროება და გერმანიის, ფიურერის!
— კი, მაგრამ სირბილში რატომღა გვაგარჯიშებთ. ტყირბს რაზე გვაგდებინებთ. რაც გამოსარბენი იყო, უკვე გამოვიბრძინეთ და გერმანიის საზღვრებს შიგნით მივუქეცი. ახლა სადღა უნდა გავიქეცთ, ვილას ესაკიროება გაქცევა.
— ვის და ფიურერს, ჩერჩეტო! — კვლავ განრისხებით მიუგო ოფიცერმა და ჯარისკაცს სილა უთავაზა.

ერთი ბანი და ორი თავი

ახალი წლის მოლოდინში ჰიტლერი შეშოთებულნი იყდა ჯაგშნიან მანქანაში და უკანასკნელ ცნობებს ელოდებოდა. შუალამისას მანქანას დაუჟაკუნეს.
— ვინა ხარ?
— გენერალი ფონ ტრაბახენ!
— რა მოგაქვს?
— ერთი ბანი და ორი თავი.
— როგორ თუ ორი თავი?
— პირდაპირ აღმოსავლეთ ფრონტიდან. მტერს რომ ვერ ეცნო მოკლული ჩვენი ფელდმარშალი გაინ გერმანიუსს, თავი მოგვტერი და აქ წამოვიღე.
— მეორე თავი ვილასია?
— ჩემი, თქვენო ბრწყინვალეობა?
— სტრულობ. შენ გაინ გერმანიუსს გან-

მთავარი „დამნაშავე“

პრუსიელი მოქალაქე გესტაპოს აგეტებმა დაპატიმრეს. მოქალაქეს ბრალად სდებდნენ ხმები გაფრცხლებას გერმანიის დამარცხე შესახებ.
პატიმარი „დანაშაულში“ გამოტყდა — თუ გასცემ, კიდევ ვინ ავრცელო ასეთ ხმებს, გაგანთავისუფლებთ. პიროს წაუყენეს პატიმარს.
— რატომაც არა, — სთქვა გახარბულმა, — ოღონდ თუ მართლა გამანთვისუფლებთ.
— ჩვენი სიტყვა კანონია, — უთხრ გესტაპოელმა და პაპიროსი შესთავაზა, აბა, ახლავე თქვი, კიდევ ვინ ავრცელებს ხმებს გერმანიის დამარცხების შესახებ?
— საბჭოთა ქვეყნები, ჰერა! — დიხჯ მიუგო პატიმარმა.

გ. ივანიშვილი

გებ მოჰკვადი, რათა მის ადგილს დაშენიშნე და შენთვის ფელდმარშლო მებრძობიო. როგორ გაბედე თავის მორა. სიკვდილი მოლაღატეს! — ჰყვიროს გაცოფებული ჰიტლერი და პირიქედობრბლს ყრიდა.
— სიკვდილის წინ ერთი სიტმათქმევიწეთ, — ითხოვა გენერალმა.
— თქვი.
— თქვენო უვიცობაჲ! მე ერთ გერნელს მოგვტერი თავი, თქვენ კი მთი გერმანიას.
ჯალათის ნაჯახი ჰაერში აღიმართა ჯაგშნიან მანქანის წინ ერთი ბანი ორი თავი გგდო.

კ. გოგიაშვილი



მათთან

ღიღინა მათთან!

ქვემოღმოყვანილი დიდმნიშვნელოვანი დადგენილება ზამთრის ორი წლით გადაღების შესახებ გამოტანილი იქნა ჯერ კიდევ ამ სამი თვის წინათ — სექტემბერში. თათბირი მოწვეული იყო „თბილისათბობის“ უფროსის ამხ. ა. ბუაძის კაბინეტში. ესწრებოდნენ დასუფთავების რაიონული ტრესტების დირექტორები, „თელასის“ წარმომადგენელი და სხვ.

მოისმინეს ამხ. ბუაძის მოხსენება — ზამთრის მოახლოების შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ზამთარი, როგორც ბუნების ბუცილებელი მოვლენა, სრულებით არ არის საჭირო ზოგიერთი ქალაქისათვის. მაგალითად, ზოგიერთ თბილ ქვეყანაში ზამთარი სულ არ იცის, მაგრამ ხალხს ეს სრულიად არ ალონებს. ყველა ამის შემდეგ, — სტკვა მომხსენებელმა, — მე ვაყენებ კითხვას: არის თუ არა საჭირო ზამთარი კერძოდ თბილისში? მე ვამბობ: არა. (ტაში). **ხმები ადგილიდან:** — „არ არის საჭირო, შორს ზამთარი, გაზაფხული სჯობია“.

მომხსენებელი — სასიამოვნოა, რომ ეს წარმტაცი ხმები მესმის თქვენგან. აქ, ამხანაგებო, შეკრებილი ვართ თბილისის მზრუნველნი, გამბობნი (ხანგრძლივი ტაში), გამნათებლები (ტაში), დამსუფთავებელნი (მჭუხარე ტაში)... აბა მითხარით: რომელი თქვენგანია მზად ზამთრისათვის?

ხმები ადგილიდან: „არც ერთი არ ვართ მზად, არ გვინდა ზამთარი!“

მომხსენებელი — მჯერა. ამიტომ შემომაქვს წინადადება ზამთრის მოსვლა გადაიდოს ორი წლის ვადით. დადგენილების პროექტს წაიკითხავს სტალინის რაიონის დასუფთავების ტრესტის დირექტორი ამხ. ირაკლი ისაკაძე (ტაში).

ი. ისაკაძე (კითხულობს)... დაადგინა:

1. ვინაიდან აღნიშნული ორგანიზაციები მზად არ არიან ზამთრისათვის, ამიტომ თბილისის მოსახლეობის სურვილის შესაბამისად მიმდინარე წლის ზამთარი მთელი თავისი თოვლქყაპით, ქარბუქით და აქედან გამომდინარე ყველა შედეგით (სურდო, გრიპი, ყელჭირვება და სხვ.) გადადებულ იქნას 2 წლის ვადით.

2. წინადადება მიეცეს მზეს დაუყოვნებლივ გარდაქმნას მუშაობა ყოველ საზაფხულო აპრილში.

3. დავალოს მზეს თავისი პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ მოახდინოს სხივების კონცენტრაცია უმთავრესად საბჭოს ქუჩაზე, პლენანოვის პროსპექტზე, აგრეთვე ყველა იმ ქუჩაზე, სადაც რაისაბჭოების დაუდევრობით ქვაფენილები ამოხრამულია და შიგ მუდმივად დგას წყალი.

4. ეთხოვოს მზეს გაუხსნას მთვარეს გრძელვადიანი კრედიტი სხივების სესხების სახით, რათა მთვარეს საშუალება ჰქონდეს ღამლამობით არა მარტო გაანათოს თბილისი, არამედ კიდევ გაათბოს.

5. წინადადება მიეცეს ქარს პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ დააწესოს თბილისის ოთხივე მხარეს (ფუნიკულორზე, კუკიის სასაფლაოსთან, სადგ. დიდუბესთან და სადგ. ფოილოსთან) საგუშაგოები და მიიღოს ყოველგვარი ზომები, რათა ღრუბლის არც ერთი ნაჭერი არ გამოუშვას თბილისისაკენ.

6. აღიძრას შუამდგომლობა პლენანოვის პროსპექტზე (№ 13) მდებარე ორსართულიანი სახლის წინაშე, რომელიც დღედღეზე აპირებს ჩამოგრეფას, რათა არ დაინგრეს მთავარი ინჟინრის პირადი მითითების გარეშე, წინააღმდეგ შემთხვევაში არ იქნება მიღებული არაერთი ზომები ნანგრევების ასაღებად.

7. ვინაიდან ზამთარი ორი წლით იქნა გადადებული და ფართო მოსახლეობას შეუა აღარ დასჭირდება, ნება დაერთოს თბილისათბობის უფროსს მის განკარგულებაში არსებული შეშა და სხვა სათბობი მასალები ყოველი შემთხვევისათვის განაწილოს შინაურულად ყველა კეთილის მსურველზე.

8. ეთხოვოს თბილისის საბჭოს განათლების განყოფილებას დროებით ამოიღოს სახელმძღვანელოებიდან პოეტ რაფიელ ერისთავის ლექსი „ვხედავ, ვხედავ დავგიზამთრდა“, რომელიც აშკარა აგიტაციას ეწვევა პროფკავშირულ მასებში ზამთრის სასარგებლოდ.

— ვინ არის მომხრე, ვინ არის წინააღმდეგი, თავი ხომ არავინ შეიკავა... მიღებულია ერთხმად... (ვაშა, ტაში, ტუში!..)

(გაგრძელება იხილეთ მე-6 გვერდზე ხათაურით: — „მხმდავ, მხმდავ და გვიზამთრდა“)

(გამომავალი შარხი)



საქართველოს სახალხო რევოლუციური კავშირი

პ. მუსუპიძის წიგნის "ამირანის" გარშემო

ბაბართულ დიპლომატიის დაბრუნებაზე ბავშვობის

ამირან-მალაზა შვიტინის მიხედვით



ნიანგის სახსარულ გარანტია

ახსარულნი სახსარულ ნიანგის, ძალის დასაბრუნების და ტარაგანი-ბარაგანი...

ნიანგის ზრუნვა და ამერიკის უკმაყოფილო გარანტია: მას სურს 1945 წელს...



ნიკორიანი და პანკრაძის

ნიკორიანი და პანკრაძის... წინააღმდეგობა...

კაკი გვილი... რა მოგაქვს?

(ანუ შეკვეთი ჩვენებურად)

კაკი გვილი! - ვინ ხარ, რა მოგაქვს... მე ვარ 1945 წლის 1 იანვარი, ახალი წელი...



კომპოზიტორი შოქოტაძის მხატვრული შექმნილი ცილობა...

სიზარად ვნახს საბავშვო ხეზე

(გამომავალი შარხი)



ნა. კ. შაქაბერაძის

სიზარად ვნახს ჩვენი ვოვა, მისიზარად მეთუ ვაჩვენა, მე რომ მწერლებს კარვალ ვივინო...

მარამ მინც ამას ვცდებო, სურათების დედა ვაროვა, გურამიშვილის მივავლო მხევი და საითივო

გასულ წლებში მოქმედ, აგრეთვე სამი ახალი ობერა, ათიოდ ახალი სიმფონია და...

კაკი გვილი! - ვინ ხარ, საიდან, რა მოგაქვს!... კაკი გვილი! - ვინ ხარ, საიდან, რა მოგაქვს!




ახალი ანდაზები რიონში
ბიზლიოთქვა

1. მოყვრობამ რა მიეოო, კონტა სხელი ამიკოო.
2. სხელგამსა და სკოლის გამკეს შორის რვეული დაიკარგო.
3. გიქი ქორწილში შევიდა, „ჩვენი ნოქრის სხელსა ჭკავსო“.
4. რად ვაკოტრდა კანტორბო? ბულაღტერმა დატორო.
5. ვანის გავეფარე და ცოლს კი ვერბო.

ახალი გამოცანები

1. ვხედავ თეთრხალათიანსა, ქანარავს ათქანათიანსა. (ოუციანტი)
2. ცოტ-ცოტობით ნატამა ბევრის ჯიბე გადაჭამა. (მოლარე)
3. თეთრი სხული, შავი თესლი, თესლი მოესველს. ეუბნება: — აღარავის არ ვასწოვარ, ჩამომართვეს მე უფლება. (სახივრის წიგნი)

შეკრიბა გიამ



ბავშვი: ბაბუა, აქეთ, აქეთ, ჩვენთან არის ნაძვისხე.

თოვლის ბაბუა: მაცალე ბიძიკო, ცალი ფერდი გამოიხზვა... აგერ

ბალნეოლოგიურ აბანოში შევივლი, კვლავ გავიყინები და მაშინ გვწვევით!

...თანხმად დადგენილებისა ოქტომბერ-ნოემბრის თვეში თბილისში მზე, მთვარე და ვარსკვლავები პირნათლად ასრულებდნენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას. ასე გასინჯეთ, ქარიც კი (ვინ არ იცის, რომ ქარი მატყუარა და დაუნდობელია), დიახ, ქარიც კი მტკიცედ იღვა სადარაჯოზე და თბილისში ღრუბლებს არ უშვებდა... მაგრამ სრულიად მოულოდნელად ცის მნათობებმა დაარღვიეს დადგენილება. ღრუბლებმა დრო იხელთეს, გადმოლახეს ღობე-ყორე და მოედნენ თბილისის ცას. ეს მოხდა 12 დეკემბერს. ჯერ დღისით ცოტა წვიმა წამოვიდა, ღამით კი ქურღულადა მოვიდა (თფუი ეშმაკს) თოვლი, მაგრამ რა თოვლი!.. დილაადრიან პირადად ორჯონიძის რაიონის დასუფთავების ტრესტის დირექტორმა აშხ. გრ. იმედაძემ უშუალოდ გამოიხედა ფანჯრიდან და ელდა ეცა!



(გაგრძელება*)

დასუფთ. ტრესტის დირექტ. — არა, კი ვატყობდი, რომ ქარი რალაცას მამა-ძალლობდა, მაგრამ სავალდებულო დადგენილებას თუ დაარღვევდა, ამას როგორ ვიფიქრებდი!

აზრთა ცხარე გაცვლა-გამოცვლის შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი დადგენილება:

1. ზამთრის ხანგრძლივობა განსაზღვრულ იქნას სულ დიდი — აპრილამდე, იმ ანგარიშით, რომ პირველ მაისს თბილისის არცერთ ქუჩაზე თოვლის ფიფქიც აღარსად იყოს.
2. გაიხსნას თბილისში ფიზკულტურის მეორე ინსტიტუტი ორჯონიძის რაიონის დასუფთავების ტრესტის დირექტორის აშხ. იმედაძის სახელობისა. ინსტიტუტმა მოამზადოს ისეთი მოქალაქენი, რომლებსაც სურვილი აქვთ შეისწავლონ ყინულზე დაიცემის დროს ფეხების ისე აწევა, რომ კალოშები (ვისაც აქვს) იქვე მახლობლად დაეარდეს, როგორც ფართო მოხმარების საგანი.

შენიშვნა: უკალოშო მოქალაქეებს უფლება აქვთ დაეცნენ ზურგიით ფეხების მაღლა აწევლად. სასტიკად აიკრძალოს ყინულზე დაცემა და თავპირის მტკრევა ელბაქიდის დაღმართზე, ჯორჯიაშილის დაღმართზე და ყოფ. ვორონცოვის ხიდზე (როგორც ასეთზე).

3. ზემოდ აღნიშნული ორგანიზაციები აცხადებენ, რომ ქვაფენილზე ნახერხის, ან ქვიშის მოყრის იმედი ნურავის ექნება, ამიტომ თვითეული მოქალაქე ვალდებულია დაეცეს მხოლოდ პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ.

4. ნება დაერთოს პროფკავშირის წევრებს ატარონ პორტფელით რეზინის სპეცბალიშები, რათა დაეცემის მომენტში სწრაფად გაბერონ და თავქვეშ დაიდონ უკანასკნელის (თავის) გატეხვის ასაცილებლად, რაც ხელს შეუწყობს საწარმოო-საფინანსო გეგმების შესრულებას.

შენიშვნა: შემჩნეულია, რომ ზოგიერთი სახლთმმართველები გრძელი ჯობით სტენი და ჰყრიან ძირს სახლის სახურავებზე, აივნებზე და მიღებზე ჩამოკიდებულ ულამაზეს ყინულის ლოლუებს. სასტიკად იქნან გაფრთხილებულნი ზემოაღნიშნული ამხანაგები, რომ ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს შევიწინააღმდეგოთ ეს ბუნებრივი ორნამენტები წლის განმავლობაში. წინადადება მიეცეთ მოქალაქეებს ჩაიონ შუა ქუჩაში, რადგან შემჩნეულია ისიც, რომ ყინულის ლოლუები თვითნებურად ტყდებიან და თავზე ეცემიან როგორც პროფკავშირის წევრებს, ისე არაწევრებსაც.

5. ეთხოვოს განათლების განყოფილებას, რათა კვლავ შეიტანოს სახელმძღვანელოებში მსკოვანი — პოეტის რაფიელ ერისთავის ლექსი „ვხედავ, ვხედავ და გვიზამთრდა, მომავონდა მე ზამთარი“... ეს ლექსი თვითეულ მოქალაქეს მოაგონებს, რომ ახლა ზამთარია და მასასადამე ჩვენი იმედი არ უნდა ჰქონდეთ.

ოქმები ნიანგისთვის გაათორმა

დაუყოვნებლივ გამოიყო კომისია, რომელმაც უმოკლეს ვადაში (სამ დღეში) შეაჯამა მასალები და მივიდა შემდეგ დასკვნამდე:

1. 12 დეკემბერს, ღამით, თბილისში კიდან ჩამოყრილი უცნობი ნივთიერება ჩაითვალოს თოვლად, ხოლო სახლის სახურავებზე ჩამოკიდებული ბრჭყვიალა ნივთები — ყინულის ლოლუებად.

2. აღინიშნოს, რომ თოვლს დაუფარავს არა მარტო ქალაქის ცენტრალური უბნები და პროსპექტები, არამედ ისეთი ქუჩებიც და თვით დაზიანებული სახლების სახურავებიც კი, რომლებზეც არა თუ თოვლის დადება, არამედ წვიმის დაცემაც კი აკრძალული იყო.

მოწვეულ იქნა სასწრაფო თათბირი. პირველი სიტყვა მიეცა მოლოტოვის რაიონის დასუფთავების ტრესტის დირექტორს შ. მესხიშვილს.

მესხიშვილი: — (საიდუმლოდ) ამხანაგებო, თოვლის მოსვლა ურყევ ფაქტად უნდა ჩაითვალოს. პირადად დასუფთავების ტრესტი იარაღს ჰყრის ბუნების სტიქიის წინაშე.


ბერიას რაიონბჭოს წარმომადგ. — მშებო, ჭავჭავაძის ქუჩაზე ყოველგვარი შეთანხმების გარეშე იმოღვნა მოუთოვია, რომ ამა წლის აგვისტომდე სულს შეგვიწუხებს. წელს ძალიან ცივი თოვლია.

— უბედურება იმაშია, რომ ადგილობრივ პროფკავშირის წევრებს და კავშირგარეშე მოსახლეობას გაყინულ ქუჩებზე უცდებიათ ფეხი, ეცემიან და ხშირ შემთხვევებში ქვაფენილს ახეთქებენ ისეთ საჭირო და ადამიანისათვის აუცილებელ ნაწილებს, როგორცაა ცხვირი, ნიკაპი, მარჯვენა მკლავის იდაყვი, სათვალეები და ა. შ.

— მოსახლეობის დიდ ნაწილს შეშა არა აქვს.

„თბილისათბობის“ უფროსი — მერე რატომ არ მოიმარაგეს თავის დროზე, ვისი ბრალია!

*) დასაწყისი იხილეთ მე-3 გვერდზე სათაურით „ძირს ზამთარი“



ნახ. ი. ქაქიაშვილისა

ცეცხლი მრავალგვარია. იქნებ თქვენ ამ სიტყვის გაგონებაზე მოგაგონდეთ თქვენი მეგობარი ქალის, ან ვაჟის ცეცხლოვანი თვალები, მგზნებარე შემოხედვა, ნაპერწკალივით რომ შემოტყრიალდება თქვენს სხეულში და აგანთებთ, გულს გაგიხურებთ.

ან იქნებ გაგახსენდეთ ცეცხლი, რომელიც პრომეთეოსმა მოხატა ღმერთებს და ხალხს მოუტანა. მას შემდეგ გიზგიზებს იგი ამ ქვეყნად და განურჩევლივ ემსახურება ყველას, — გაჭირვებულს და დაღვინებულს, ბევრის მოთმენა და ატანა შეუძლიან მას. მაგრამ თუ შეგამჩნიათ უყურადღებობა, გაანჩხლდა და თავზე ხელი აიღო, თქვენს მტერს, გადასწვავს მთლიანად ქალაქს, გაუვალ ტყეს, სოფლებს, სულ ფერფლად აქცევს ყველაფერს.

ასეთი ცეცხლი არავის არ უყვარს და ჩვენი მეხანძრეები გაჭირვებით ებრძვიან მას.

მე მინდა იმ ცეცხლის შესახებ ვიამბოთ, რომელიც თბილისის ერთერთ ქუჩაზე № 22 სახლში ერთ დღე მოაბეზრა თავი დიასახლისს, რომ ამ ცივ ზამთარში, იგი თავისი ღუმელიდან აიღო და კარში გაუძახა.

ან კი რა უნდა ექნა საბრალო ქალს. სხვა გამოსავალი არ იყო: გათენდებოდა თუ არა დილა, მოკრავდნენ თუ არა მეზობლები თვალს, რომ ცეცხლი უკვე აინთო, სასწრაფოდ წამოყრიდნენ ლოგინიდან ბავშვებს, ფაცა-ფუცით გადააცმევდნენ და მიაყენებდნენ მას კარებზე. ეხლა თქვენ წარმოიდგინეთ ერთ პატარა ოთახში სამი ბავშვი თვითონ დიასახლისის და თორმეტიც — მეზობლების.

ამას მიუმატეთ შვიდი ჩაიდან, შვიდი ქვაბი, შვიდი ტაფა — თავის მჭადიანად, რომლებიც ღუმელზე უადგილობის გამო, რიგრიგობით უნდა აღუდებულყო, მოხარულიყო, გამომცხვარიყო და თვალწინ დაგიდგებოთ იმ დიასახლისის გაჭირვება, რომელმაც ამ ცივ ზამთარში როგორღაც შეშა იშოვა და გვერდები გაითბო, მაგრამ მოხვენება კი დაკარგა.

ზამთრის პირობები თბილისში


ნახ. დონისა



ეს ხულიგნობა არ მიიღოთ, ჩვენი სტუდენტობა და მოწოდება ფიქრობს, რომ ეს მისი მხიარული ხასიათის გამოხატულებებია, ალბათ მიიღოც იმიტომ იციან!



მეზღო. ვინაირთ ხალხს, მასწავართ კოტორილი, ზამთარი წელიწადში ერთხელ მოდის.



ცოლი: რა გემართება, ყოველდღე მთვრალი რომ მოდიხარ სახლში? მამარი: რა ვქნა გენაცვალე, რომელ სასაუზმომაც შევდივარ, პირველად არაყს მასმევენ, როგორც სავალდებულო ასორტიმენტს და...

არავითარმა ზომამ არ გასჭირა, როცა გარედ გადგებულნი, ატირებული ბავშვები დედებს უკანვე მოყავდათ და არიგებდნენ:

— რავა გამოსულხარ გარეთ ამ სიცივეში, რა ვუყოთ მერე, ვითხრას მაგან ვადი გარეთო, შენ აიღე სკამი და მიუჯექი თბელ ღუმელს. რომ დაგიღია პირი და მომადექი სახლში, რომელი ცეცხლი მე მაქვს აგიზგივებული. გაიფიქრებო სიცივისაგან შე უბედურო.

რა ბედნიერად გრძნობდა თავს დიასახლისი, რა ამაყად იყურებოდა იქით-აქით, როცა ეზოში შეშით დატვირთული მანქანა შემოგრიადდა და მისი შეშა გადმოსცალეს. მედიდურად აათვლიერ-ჩათვლიერა მეზობლები. ფიქრობდა გუნებაში:

— მე კი ავაგიზგივებ ამ ზამთარში ცეც-

ხლს და ვიქნები ჩემთვის თბილად. თქვენ იკითხეთ თქვე საწყლებო, ნამცეცია შეშა რომ არა გაქვთ და გაიყინებით სიცივისაგანო. რას წარმოიდგენდა მაშინ იგი, უბრალო დიასახლისი ქალი, რომ მეზობლების ქონებას და არქონებას ასეთი დიდი მნიშვნელობა მქონდა მის განცხრომასა და მოხვენებისათვის.

— აწი კი ვისწავლე ჭკუა, — ეუბნება იგი ახლა თავის ნაცნობებს, — რავა ღმერთი გამიწყრება და გამეხარდება მეზობლების უშეშობა. ნეტავი ყველამ იმდენი შეშა მოიტანოს, რომ სამი ზამთარი ეყოთ. ამაზე უკეთესი რაღა იქნება. სად ერთი ჩაიდნის ადუღება და სად შვიდის, სად ერთი ქვაბი სადილის მოხარშვა და სად შვიდის, სად ერთი მჭადის გამოცხობა და სად შვიდის და ბოლოსდაბოლოს სად სამი ბავშვის მოვლა და სად თხუთმეტი! ასტამი

ბიანის ფოსტა

თამარ აბაშის (თელავი). იწერებთ ჩემი პირველი ლექსი ნიანგისათვის მომძღვნიო:

„ჩვენ სულ მუდამა ვკითხულობთ და მუდამ ვფიქრობთ ნიანგზე, გონივრთ გამოგზავნათ ფარსადან, ან თქვენი გენო ღიაზე, — მოინახულონ, გაიციონ ჩვენი ქალაქი თელავი, ხომ იცით აქაც ბევრი გვყავს ნიანგში მოსათელავი.“

ჩამოვალთ, გინახულებთ, გველოდეთ. სიმონ რაბათელს (თბილისი). თქვენს „სახალწლო იმედებს“ ნიანგი ძალიან უიმედოდ შეხვდა.

„მოგილოცავთ ახალ წელს, შევხვედროდეთ ახჯერა, ტრადიციული ასეთი კვლავ გვექნება — არ მჯერა, არიან მორწმუნენი, ჩემო სიმონ, გისმინოთ განგებან.“

...მენათესავ სინდისი ალბად მოგატეხა,

„ხალტურ-ნავის“ გაჰყდიან სამ თუმანზე ნაკლებად.“

აჰ, აჰ! მაგის იმედი ნუ გექნებათ, მენათეს სინდისი არ მოემატება, მაგრამ „ხალტურ-ნავის“ სამ თუმანს კი შეიძლება მოემატოს.

...ჭურჭესა და ქვაფენილს დასწმენდს — ვისიც ვაღია, ისე მიხვალ ბინაზე, არ გაგიტყდეთ თავია.“

უთუოდ თქვენს ოპტიმიზმს უნდა მიეწეროს, რომ დასუფთავების ტრესტის მუშაობის შემხედვარეს ამისი იმედი უკონიათ.

რაჰდენ ძლიერს (ქიათურა) — როგორც რაჰდენი თქვენ შეიძლება მართლაც ძლიერი ხართ, მაგრამ თქვენი ლექსი კი — უძლური აღმოჩნდა! ამ ზაფხულს კურორტ არაზინდოზე გინებებით დასვენება და სწერო:

„...ქალღ მე იქ ორი კვარით ცხოვრებამ ჯანმრთელობა ოთხი კილო შემმატა.“ —

უნდა გამოგიტყდეთ, პირველად გვესმის, რომ ჯანმრთელობის სახომი კილოგრამი ყოფილა. ოთხ კილო ჯანმრთელობასთან ერთად ორიოდ გრამი ლექსის წერის ნიჭიც რომ შეგატეხებოდათ (ბოდიში ამ სიტყვებისათვის), აი მაშინ კი ასეთი შედეგით არც თქვენს სპორტოს შეაწუხებდით და არც ნიანგს.

ფოტა ლაჰმის (ქუთაისი) — გვატყობინებთ: ქუთაისის თეატრში ხშირად დაედივარ, ბევრი კარგი მსახიობებია, მაგრამ ყველაზე უფრო შემოყვარდა მსახიობი მარია (ალბათ გელაშვილი). ამ შემთხვევაში თანაგრძნობის ღირსი ხართ, იგი ჩვენც გვიყვარს — კაოგი მსახიობია. მაგრამ ეგ რა ვითქვამთ, რა მოგიჩხაბათ, რა წიგნი მოგიწერით? „შეხარი ჩვენსა მსახიობს, არ გავცვლი არვის ყოლამან, მასზე ამომღის მზე-მთვარე, მსურს მე იმისად ყოლამან, თუ ბედი მწყალობს — გავხვდები მცე მისი ცქერის ყოლამან.“

თი, დ. სწვევლოს გ. შ. კ. შ., ოპტიმიზმს უცნაური ჰყავს იმ დალოცვილ ღმერთს. ამ ქვეყანაზე ბევრი რამ ახსნილი და განმარტებულია, მაგრამ ამ „ყოლამანს“ ვერ მოუწინავეთ ვერაერთიან ახსნა. ქვემართად საცოდავია მსახიობი, რადგან იძულებულია მომთმინოს ასეთი თავყანისმცემლის „ყოლა მან“.



მთავარი ფიგურები, რომლებიც უნდა ჩამოიკიდოს გერმანიის საახალწლო ნაძვისხეზე.

სარედაქციო კოლეგია: ი. გრიშაშვილი, კ. კალაძე, უჩა ჯაფარიძე, ს. ფაშალიშვილი, ვრ. აბაშიძე (პ/მგ. რედაქტორი).

თბილისი. სატირიკო-იუმორისტული ჟურნალი „ნიანგი“ რედაქციის წინამართი: ლენინის ქ. № 28. ტელ. 2-10-49

ხელნაწერილია დასაბეჭდათ 1945 წ. 9/1. ანბ. ლ. პ. ბერიძის სახ. პოლიგრაფიკობინატი „კომუნისტ“, ლენინის ქ. № 28. გამოც. № 1. წიგ. № 1286, ჟღ 017#2